

შპს „ეკობრენდს ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ეკობრენდს ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძვლები.....	5-6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6-10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....	10
5. ძირითადისაშუალებები.....	11
6. არამატერიალურიაქტივები.....	12
7. მარაგები.....	12
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
9. საგადასახადო მოთხოვნები.....	12
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	13
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
12. ამონაგები.....	13
13. სხვა შემოსავალი.....	13
14. შეძენილი მომსახურების ხარჯები.....	14
15. სხვა საოპერაციო ხარჯი.....	15
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	15
17. უცხოური ვალუტით ვაჭრობით და სავალუტო სახსრების გადაფასებით გამოწვეული ხარჯი.....	16
18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა.....	16-17
19. დირექტორსა და უმაღლესი რანგის თანამშრომელთა ანაზღაურებ.....	17
20. ანგარიშგების დამტკიცება.....	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	243.210	235.604
არამატერიალური აქტივები	10.356	9.776
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შევსებაზე	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	253.566	245.380
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	589,247	431.754
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	975.743	1.212.641
საგადასახადო მოთხოვნები	10.653	45,745
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	729,459	683,463
სულ მიმდინარე	2,305,102	2,373,603
სულ აქტივები:	2,558,668	2,618,983
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
გადაფასების რეზერვი	-	-
საწესდებოკაპიტალი	2.000	2.000
გაუნაწილებელიმოგება—ზარალი	1.983.030	1.884.077
სულ საკუთარი კაპიტალი	1.985.030	1.886.077
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მოკლევადიან ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573.638	732.906
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	573.638	732.906
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები (2022)	2,558.668	2,618.983

აღმასრულებელი დირექტორ

ნ. ჭინჭარაული

მთ. ბუღალტერი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ო.მელქაძე

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2024წ.	2023წ.
ამონაგები	2,515,024	2,668,618
სხვა შემოსავალი	71,909	59,120
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	157,493	237,895
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა	(1,496,717)	(1,589,023)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	(565,512)	(488,729)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(18,975)	(16,677)
შემენილი მომსახურების ხარჯები	(334,319)	(215,627)
სოციალური ხარჯები	(7,270)	(5,609)
საგადასახადო ხარჯი	(37,172)	(41,857)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(39,781)	(26,988)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	244,680	581,123
საკუროს სხვაობით გამოწვეული წმინდა შემოსავალი (ხარჯი)	15,932	(16,484)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(14,600)	(10,886)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	<u>246,012</u>	<u>553,753</u>
მოგების გადასახადი	(22,059)	(17,594)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	<u>223,953</u>	<u>536,159</u>
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	1,884,077	1,447,618
დივიდენდი	(125,000)	(99,700)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	1,983,030	
1,884,077		

აღმასრულებელი დირექტორი

ნ. ჭინჭარაული

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეკობრენდს ჯორჯია“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, პირველად რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 1997 წლის 6 მარტიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, როგორც 01.01.2023 წლამდე რეგისტრირებულმა საწარმომ, გაიარა ხელახალი რეგისტრაცია 13.07.2023 წელს განცხადების საფუძველზე. 2023 წლის დეკემბრამდე ფუნქციონირებდა სახელწოდებით შპს „ნატურაფარმი“. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202050564; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, პეკინის ქ.# 45, ბინა 112. ფაქტიური მისამართი შეესაბამება იურიდიულს.

კომპანიის მფლობელები (დამფუძნებლები) არიან: 50% წილით არარეზიდენტი ფიზიკური პირი მათიას ვალენთინი და 50% წილით რეზიდენტი ფიზიკური პირი ანა ვალენთინ-ბაზირაშვილი.

შპს „ეკობრენდს ჯორჯია“ (შემდეგში კომპანია) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ახორციელებს ფარმაცევტული, პარფიუმერული, კოსმეტიკური საშუალებების შეძენას და რეალიზაციას საბითუმოდ და საცალოდ და მომსახურებას. 2024 წელს გააფართოვა საქმიანობის სფერო: დაემატა საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია, ასევე ონლაინ გაყიდვები, რამაც გაზარდა პროდუქციის უცხოელი მომწოდებლების რაოდენობა. თუ საქმიანობის განხორციელებისათვის კომპანია პროდუქციის შეძენას ახორციელებდა არარეზიდენტ კომპანია სს „ველედასგან“ თანამშრომლობით, დაემატა სხვა მომწოდებლები: ინგლისური კომპანია ციტოპლენი, გერმანული კომპანია სონეტი და ჰოლანდიური კომპანია ბამბოვემენტი B.V. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით და საცალოდ. კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა საქმიანობა, ხოლო საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება განახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

ბიზნეს გარემო საქართველოში

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი და იმედი აქვთ, უფრო განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ასევე კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. ფაქტობრივი შეფასებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და მასში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში დამრგვალების გარეშე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. ხოლო უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი).

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მუხლში - კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი). უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების შეფასებისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები იყო შემდეგი:

	ლარი/აშშ. დოლარი
31.12.2023	2,6894
31.12.2024	2,8068
	ლარი/ევრო
31.12.2023	2,9753
31.12.2024	2,9306

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით და მყიდველის მიერ დაბრუნებული პროდუქციის ღირებულებით.

საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკურ

სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორიცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების ერთეულის კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
ავეჯი და მოწყობილობები	6-20%
სატრანსპორტო საშუალებები	5%
სხვა ძირითადი საშუალებები	10-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან თუ მისი გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა საფუძველი აქტივის გაუფასურების შესახებ, რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ამ შემთხვევაში საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომ, ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასების ცვლილებას და აღდება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა, თუ არ მოხდებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება.

მარაგი

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შემენისთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

დაბეგვრა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა იბეგრება სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა საოპერაციო ხარჯების“ და „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი“ მუხლებში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ვინაიდან კომპანიას გააჩნია დღგ-თი დასაბეგრი, ჩათვლის უფლებით დღგ-გან განთავისუფლებული და ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებული ბრუნვები, შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება პროპორციული პრინციპით მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. ასევე პროპორციული პრინციპით ხდება უკუდაბეგვრის დღგ-ის ჩათვლა. საქონლის იმპორტზე, გადახდილი დღგ ჩაითვლება სრულად, ვინაიდან ის შეესაბამება საქონელს, რომლის მიწოდებაც ადგილობრივ ბაზარზე იბეგრება დღგ-ით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ

ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცემებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებები და განსჯა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოვლენების სამომავლო მოლოდინს, რომლებიც გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობისთვის შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია განსჯა. განსჯა, რომელსაც შეუძლია საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე მომავალ ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ა) საექვო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია კლიენტებისგან თანხების ამოღება. შეფასება ეფუძნება მოთხოვნების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობას, გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ბ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

დამატებითი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლები განმარტებისთვის

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშნუ ბი	ავეჯი	სატრანსპო რტო საშუალებ ები	სხვა ძირითად ი საშუალებ ები	სულ
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2023	240894	21042	34307	57033	353276
შემოსვლა	-	16018		9143	25161
გასვლა	-	9284	-	7369	16653
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2024	240894	27776	34307	58807	361784
ცვეთა და გაუფასურება					
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	57809	13785	12169	33909	117672
პერიოდის ცვეთა	9655	1608	1740	4553	17556
გასულების დაგროვილი ცვეთა		9284		7369	16653
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	67464	6109	13909	31093	118575
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	183085	7257	22138	23124	235604
31 დეკემბერი 2024	173430	21667	20398	27714	243209

კომპანიის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებზე გირავნობა ან რაიმე სახის უფლებრივი შეზღუდვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არსებობს.

გასული ძირითადი საშუალება არის ჩამოწერილი ძირითადი საშუალება, რომელიც სრულად არის გაცვეთილი და კომპანის აღარ მოელის მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

6. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივის სახით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა საბუღალტრო პროგრამა "სუპერფინი" და საბუღალტრო პროგრამა „ბალანსი“. არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბალანსო ღირებულება შეადგენს 9776 ლარს. 2024 წელს გაიზარდა ღირებულება პროგრამა „ბალანსი“-ს 2000 ლარით, 2024 წელს დარიცხულია ცვეთა 1419 ლარი და 2024 წლის ბოლოს დარიცხულმა ჯამურმა ცვეთამ შედგინა 3923 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება შეადგენს 10356 ლარს.

7. მარაგები

	2024	2023
ფარმაცევტული პროდუქცია	183,954	107,332
კოსმეტიკური საშუალებები	372,645	295,573
საყოფაცხოვრებო პროდუქცია	30,766	-
სხვა პროდუქცია	1,882	28,849
სულ	589,247	431,754

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	948,866	1,201,495
გადახდილი ავანსები	26,877	11,146
სულ	675,743	1,212,641

9. საგადასახადო მოთხოვნები

საგადასახადო მოთხოვნები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით

და შეადგენს 10653 ლარს.

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2024	2023
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	183,261	127,501
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	543,738	555,201
ფული სალაროში	2,460	761
სულ	729,459	683,463

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულება მომწოდებლებზე	520,349	694,313
სავაჭრო ვალდებულება მიღებულ მომსახურებაზე	8,688	14,900
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	43,457	22,644
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	259
სხვა ვალდებულება	1,144	790
სულ	573,638	732,906

12. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	2,582,661	2,733,976
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(72,310)	(67,154)
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	4,673	1,796
სულ	2,515,024	2,668,618

13. სხვა შემოსავალი

	2024	2023
--	------	------

საბანკო დეპოზიტიდან საპროცენტო შემოსავლები	13,847	9,071
უსასყიდლო ფასეულობიდან მიღებული შემოსავალი	58,062	50,049
სულ	71,909	59,120

14. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	2024	2023
სარეკლამო მომსახურების ხარჯი	162,915	141,188
დასუფთავების მომსახურება	1,750	-
კომუნიკაციის ხარჯი	3,793	3,620
კომუნალური ხარჯი	5,467	5,140
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	7,122	-
ექსპორტზე და ადგილობრივ მიწოდებაზე გაწეული ხარჯები	12,275	4,263
დაზღვევის ხარჯი	2,105	1,875
საბუღალტრო პროგრამის მომსახურების ხარჯი	6,311	5,481
საბანკო მომსახურების ხარჯი	13,756	8,184
სხვა მომსახურების ხარჯი	1,492	1,748
ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებები	34,584	9,534
სატრენინგო მომსახურების ხარჯი	619	2,940
ვებგვერდის მომსახურება(მეილები, დომენი, ონლაინ, ჰოსტინგი, გუგლე)	10,707	16,864
სააბონენტო მომსახურება	1,917	-
ვოლტის მომსახურება	8,301	2,326
დაცვის მომსახურება	2,392	1,214
მიღებული საიჯარო მომსახურების ხარჯი	50,813	11,250
კვლევაზე გაწეული მომსახურება	8,000	-
სულ	334,319	215,627

15. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
მივლინების ხარჯი	7,162	2,217
სამეურნეო ხარჯი	818	668
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,580	4,526
საკანცელარიო, საოფისე ხარჯი	5,511	11,383
ანოტაციების ხარჯი	1,929	-
კომპიუტერის და კართრიჯის ხარჯი	479	-
საწვავის ხარჯი	4,314	3,437
მანქანის ხარჯი	127	444
ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი	8,777	4,255
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯი	84	58
სულ	39,781	26,988

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა	2,488	-
აღწერით გამოვლენილი პროდუქციის ზედმეტობა	419	-
საქველმოქმედო ხარჯი	(2,280)	(495)
სხვადასხვა არასაოპერაციო ხარჯი	(12,535)	(10,391)
აღწერით გამოვლენილი პროდუქციის ნაკლებობა	(1,710)	-
ხარჯი რომლის გაწევის მიზანი არ არის შემოსავლის და სარგებლის მიღება	(982)	-
სულ	(14,600)	(10,886)

**17. უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო
სახსრების გადაფასებიდან წმინდა შემოსულობა/დანაკარგი**

	2024	2023
ვალუტის შესყიდვით	(4,001)	(3,756)
არსებულ ფულად ნაშთებზე	1,597	(1,211)
ეფექტი მოთხოვნებზე	15	(11,205)
ეფექტი ვალდებულებებზე	18,321	(312)
სულ:	15,932	(16,484)

18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო

პირობების ცვლილების შედაგად. ამ მიზნით კომპანია რეგულარულად ახდენს ადგილობრივი ბაზრის მონიტორინგს.

სავალუტო რისკი

რისკი დაკავშირებულია ვალუტის კურსის ცვლილებასთან და საჭიროებს ამ ცვლილების პერიოდულ ანალიზს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

19. დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

საანგარიშგებო პერიოდში დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გადახდილი ანაზღაურება (დარიცხული) შეადგენს 169,868 ლარს.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ეკობრენდს ჯორჯია“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა 2024 წლის დაამტკიცა ფინანსური ანგარიშგება და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ბირითადი საშუალებები	243.210	235.604
არამატერიალური აქტივები	10.356	9.776
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შეცესებაზე	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	253.566	245.380
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	589,247	431.754
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	975.743	1.212.641
საგადასახადო მოთხოვნები	10.653	45,745
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	729,459	683,463
სულ მიმდინარე	2,305,102	2,373,603
სულ აქტივები:	2,558,668	2,618,983
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
გადაფასების რეზერვი	-	-
საწესდებოკაპიტალი	2.000	2.000
გაუნაწილებელიმოგება_ზარალი	1.983.030	1.884.077
სულ საკუთარი კაპიტალი	1.985.030	1.886.077
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები კაპიტალის შეცესებაზე	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მოკლევადიან ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573.638	732.906
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	573.638	732.906
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები (2022	2.558.668	2.618.983

აღმასრულებელი დირექტორი  ნ. ჭინჭარაული

მთ. ბუღალტერი  მ. ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2024წ.	2023წ.
ამონაგები	2,515,024	2,668,618
სხვა შემოსავალი	71,909	59,120
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	157,493	237,895
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა	(1,496,717)	(1,589,023)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	(565,512)	(488,729)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(18,975)	(16,677)
შემენილი მომსახურების ხარჯები	(334,319)	(215,627)
სოციალური ხარჯები	(7,270)	(5,609)
საგადასახადო ხარჯი	(37,172)	(41,857)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(39,781)	(26,988)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	244,680	581,123
საკურსო სხვაობით გამოწვეული წმინდა შემოსავალი (ხარჯი)	15,932	(16,484)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(14,600)	(10,886)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	246,012	553,753
მოგების გადასახადი	(22,059)	(17,594)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	223,953	536,159
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	1,884,077	1,447,618
დივიდენდი	(125,000)	(99,700)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	1,983,030	
1,884,077		

აღმასრულებელი დირექტორი

6. ჭაჭავაძე

ნ. ჭინჭარაული

მთ. ბუღალტერი

მ. ბეჭაძე

ო. მელქაძე